მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირში
შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“
ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის პროექტის
სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

14 მარტი, 2022

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2022 წლის 21 თებერვალს საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“ ფეროშენადნობების ქარხნის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით.

სკოპინგის ანგარიში შემდეგნაირად არის დასათაურებული: „თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირში შპს ,,მანგანეზ ინდასთრი“-ს ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის ექსპლოატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიში.“ დოკუმენტის შინაარსის მიხედვით, კი საქმიანობა გულისხმობს ახალი საწარმოს მშენებლობას და ექსპლუატაციას. ვინაიდან ანგარიშის ავტორის - შპს „გამა კონსალტინგის“ მხრიდან ჰქონია ადგილი ფაქტებს, როდესაც უკვე აშენებული საწარმოსათვის მომზადებულა დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებების შეფასების ანგარიში, აღნიშნული გარემოება საჭიროებს გამოკვლევას.

ალტერნატიული ვარიანტები

სკოპინგის ანგარიში მოიცავს ქვეთავს სახელწოდებით “არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი“, თუმცა შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. არაქმედების, ნულოვანი ალტერნატივა უნდა გულისხმობდეს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას და არა პროექტის განხორცილების შედეგად მიღებულ სარგებელს, როგორც ეს ანგარიშშია განხილული.

საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივები, ფორმალურად არის განხილული. ანგარიშის 2.1 ქვეთავის მიხედვით, პროექტირების ეტაპზე ადგილმდებარეობის რამდენიმე ალტერნატივა იქნა განხილული. მათგან, შერჩეული ადგილი შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას წარმოადგენს. მარტივი ინტერნეტ ძებნით შესაძლებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 13 აპრილი ინფორმაციის მოძიება, რომლის თანახმად: “პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირში ფეროშენადნობების საწარმო აშენდება, რისთვისაც 2 800 000 ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება და 100 ადგილობრივი დასაქმდება. **საწარმოს ასაშენებლად კომპანია „მანგანეზ ინდასთრის“ 61 506 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 1 ლარად, ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გადაეცა“**.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ფაქტიურად, კომპანიას საწარმოს სწორედ ამ ადგილზე მშენებლობის ვალდებულება აქვს აღებული. ამდენად, გაუგებარია რას ეფუძნება ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ადგილმდებარეობის ალტერნატივების შესახებ.

მსგავსი პრაქტიკა ეწინააღმდეგება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს, რომელიც მოითხოვს ადგილმდებარეობის რეალური ალტერნატივების განხილვას საქმიანობის დაგეგმვის ეტაპზე.

ნარჩენების მართვა

დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება სხვადასხვა რაოდენობის, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენი. ყველაზე დიდი რაოდენობით, კი წარმოიქნება წიდა (დაახლოებით 60-62 ათასი ტ/წ) და მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული მტვერი (11-12 ათასი ტ/წ). საწარმოო ნარჩენები დაფასოებული და დასაწყობებული იქნება ქარხნის ტერიტორიაზე. 3.3 ქვეთავშივე ვკითხულობთ, რომ „საჭიროების შემთხვევაში წიდის სანაყაროს ფართობის გაზრდა დაგეგმილია საწარმოს აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე.“ დასაზუსტებელია: რა რაოდენობის წიდას დაიტევს საწარმოო ტერიტორია; და სად მოხდება საწარმოო ნარჩენის საბოლოო განთავსება.

კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების დროს ერთიანობაში უნდა იყოს შეფასებული სიახლოვეში ყველა საწარმოს არსებობით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა მოსახლეობაზე და გარემოზე. აღნიშნული საკითხი (ქვეთავი 4.10) სკოპინგის ანგარიშში ფორმალურად არის განხილული. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო საწარმოს განთავსების ტერიტორია სამრეწველო ზონაში მდებარეობს, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო ობიექტი, მათ შორის: „შპს "საქმილსადენმშენი"-ს კუთვნილი ასფალტ-ბეტონის ქარხანა და ინერტული მასალების საწარმო, შპს „ბლექსი გრუპი“-ს ასფალტ-ბეტონო ქარხანა და ინერტული მასალების საწარმო. გარდა აღნიშნულისა შპს „მანგანეზ ინდასთრი“-ს საპროექტო ტერიტორიასა და შპს "საქმილსადენმშენი"-ს კუთვნილ საწარმოო ტერიტორიას შორის მიმდინარეობს შპს „ექსიმგრუპი“-ს ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობის პროცესი, რომლის წარმადობა და ტექნოლოგიური ციკლი საპროექტო საწარმოს ანალოგიურია.“ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ კუმულაციურ ზემოქმედებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ძირითადად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, აკუსტიკურ ფონზე და სატრანსპორტო ნაკადებზე. თუმცა, საერთოდ არ არის შესწავლილი ხმაურის ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედი საწარმოების ყველა წყაროს ერთდროული ფუნქციონირების სცენარის გათვალისწინებით.